ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №7

ქ. თბილისი 07.02.2012 წ.

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით და, მეორე მხრივ, "აჭარის ა.რ. განათლების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-ხელვაჩაურის რესურსცენტრი" (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი ირაკლი ჯაფარიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის (ბენზინი ევრო რეგულარი ოქტანობა არა ნაკლებ 91;ევრო 3 სტანდარტი;) ნასყიდობა.

3. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის ბენზინს (ევრო რეგულარს ოქტანობა არა ნაკლებ 91;ევრო 3 სტანდარტი ;) 2640 ლიტრის ოდენობით.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 4 (ოთხი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით ბენზინის (ევრო რეგულარის ოქტანობა არა ნაკლებ 91, ევრო 3 სტანდარტი;)-ის შემთხვევაში.

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინსწრებით. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროს.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვახორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154 საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის # GE62BG0000000876831000 ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ც/ფ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში # GE05TB7538836020100001	"აჭარის არ განათლების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო-ხელვაჩაურის რესურსცენტრი" იურიდიული მისამართი: ბათუმი,ფ.ხალვაშის 21 საიდენტიფიკაციო კოდი: 248420597 სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი:
გამყიდველის სახელით, ს. ჯიშიაშვილი	მყიდველის სახელით, ი.ჯაფარიძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ბათუმი 7 თებერვალი 2012 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ხელვაჩაურის რესურსცენტრსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №7 (07.02.2012) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელვაჩაურის რესურსცენტრის

უფროსი ირაკლი ჯაფარიძე